

„დამტკიცებულია”

სსიპ - საქართველოს შსს აკადემიის რექტორის
2019 წლის 12 აპრილის N 944097 ბრძანებით

ივანე პაპიაშვილი

მეხანძრე-მაშველთა საბაზისო სპეციალური პროფესიული
საგანმანათლებლო პროგრამა



თბილისი, 2019

<p>პროგრამის სახელწოდება:</p>	<p>მეხანძრე-მაშველთა საბაზისო სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა</p>
<p>პროგრამის ხანგრძლივობა:</p>	<p>89 საათი.</p>
<p>პროგრამის აღწერილობა</p>	<p>პროგრამა განკუთვნილია სსდ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სახანძრო-სამაშველო ძალების დეპარტამენტის თანამშრომლებისთვის. პროგრამის საერთო ხანგრძლივობაა 89 აკადემიური საათი (11 საათი ეთმობა შეფასებას), რაც შსს აკადემიაში სასწავლო კვირის დატვირთვის შესაბამისად შეადგენს 3 კვირას (15 სასწავლო დღე).</p> <p>პროგრამა ითვალისწინებს III მოდულს. პროგრამაში მოცემული მეთოდოლოგია და აპრობირებული პრაქტიკა, მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მსმენელთა პროფესიონალურ და ზოგად უნარ-ჩვევას, ხელს შეუწყობს მათ ეფექტიანად და რაციონალურად განახორციელონ სამსახურებრივი უფლება-მოვალეობანი.</p> <p>მსმენელები შეფასდებიან თითოეული მოდულის მიხედვით. პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ მსმენელებს გადაეცემათ სერტიფიკატი.</p>
<p>პროგრამის მიზანი:</p>	<p>საგანგებო სიტუაციების დროს ადამიანის სიცოცხლის/ჯანმრთელობის, გარემოსა და ქონების დაცვა და სხვა მნიშვნელოვანი სამსახურებრივი უფლება-მოვალეობის ეფექტიანი განხორციელება.</p>

№	საგნის სახელწოდება	ხანგრძლივობა საათი	შეფასება საათი
	I მოდული	18	1
1.	საგანგებო სიტუაციების მართვის სისტემა საქართველოში	4	ჩათვლა დანართი №1 შესაბამისად
2.	ქიმიური, რადიაციული და ბიოლოგიური უსაფრთხოება	2	
3.	პირველადი სამედიცინო დახმარება	12	
	II მოდული	30	5
4.	სახანძრო ტექნიკა, სახანძრო წყალმომარაგება, სუნთქვისა და მხედველობის ორგანოთა ინდივიდუალური დაცვის საშუალებები	6	ჩათვლა დანართი №2 შესაბამისად
5.	სახანძრო ტაქტიკა	2	
6.	სახანძრო-სამწყობრო მომზადება	22	
	III მოდული	30	5
7.	საავარიო-სამაშველო/სამაშველო ტექნიკა და აღჭურვილობა	2	ჩათვლა დანართი №3 შესაბამისად
8.	სამაშველო ტაქტიკა	4	
9.	სპეციალური სამაშველო ტაქტიკური მომზადება	24	

I მოდული			
1	საგანგებო სიტუაციების მართვის სისტემა საქართველოში (4 სთ.)		
№	სწავლების მეთოდი:	ლექციის თემა	სწავლების შედეგები
1/1	L	<p>საგანგებო სიტუაციების მართვის სისტემა საქართველოში</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სტრუქტურა; ➤ სამსახურის ძირითადი ფუნქციები და ამოცანები; ➤ საგანგებო სიტუაციების ცნება, ძირითადი ტერმინები და განმარტებები; ➤ სამსახურის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები. 	<p>ცოდნა/გაცნობიერება:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ისაუბრებს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სტრუქტურაზე, სამსახურის ძირითად ფუნქციებზე, სამსახურის საქმიანობის სამართლებრივ საფუძვლებზე, მეხანძრე-მაშველის სტატუსსა და უფლება-მოვალეობებზე. <p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ სწორად წარმართავს თავის საქმიანობას უფლება-მოვალეობების ფარგლებში.
1/2	L	<p>სახანძრო-სამაშველო დანაყოფში საქმიანობის ორგანიზება</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ სახანძრო-სამაშველო დანაყოფში სამსახურის გავლის წესისა და პირობების ძირითადი პრინციპები ➤ მორიგე ცვლაში საქმიანობისას მისი ამოცანები 	<p>ცოდნა/გაცნობიერება:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ისაუბრებს სახანძრო-სამაშველო დანაყოფში სამსახურის გავლის წესსა და პირობების ძირითად პრინციპებზე; ➤ იმსჯელებს მორიგე ცვლაში საქმიანობისას მის ამოცანებზე. <p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ სწორად წარმართავს მორიგე ცვლაში სამსახურებრივ საქმიანობას და შეასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს; ➤ დაიცავს დადგენილ შინაგანაწესს.
2	ქიმიური, რადიაციული და ბიოლოგიური უსაფრთხოება (2 სთ.)		

№	სწავლების მეთოდი:	ლექციის თემა	სწავლების შედეგები
2/1	L	<p>ქიმიური და რადიაციული უსაფრთხოების საფუძვლები</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ავარიულად საშიში ცალკეული ქიმიური ნივთიერებების ფიზიკურ-ქიმიური დახასიათება, ზემოქმედება ცოცხალ ორგანიზმზე და მათი განეიტრალების მეთოდები; ➤ რადიაციის ცნება, რადიაციის სახეები; ➤ რადიაციული დაბინძურება (კონტამინაცია) და ავარიების ტიპები. 	<p>ცოდნა/გაცნობიერება:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ჩამოთვლის ავარიულად საშიშ ქიმიურ ნივთიერებებს; ➤ ისაუბრებს ავარიულად საშიში ქიმიური ნივთიერებების ზემოქმედებაზე ადამიანის ორგანიზმზე; ➤ აღწერს რადიაციის ცნებას; ➤ ისაუბრებს რადიაციული დაბინძურებისა (კონტამინაცია) და მისი ლიკვიდაციის (დეკონტამინაცია) შესახებ. <p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ქიმიურად და რადიაციულად დაბინძურებულ ზონებში დაიცავს პირად უსაფრთხოებას.
3	პირველადი სამედიცინო დახმარება (12 სთ.)		
№	სწავლების მეთოდი:	ლექციის თემა	სწავლების შედეგები
3/1	L	<p>პირველადი სამედიცინო დახმარების საფუძვლები, მიზანი და ამოცანები;</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ პირველადი სამედიცინო დახმარების პრიორიტეტები, პირადი უსაფრთხოება, ოპტიმალური დრო, სასიცოცხლო ნიშნები და მეხანძრე-მაშველის მოვალეობები პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევის დროს. 	<p>ცოდნა/ გაცნობიერება:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ისაუბრებს პირველადი სამედიცინო დახმარების პრიორიტეტებზე, პირად უსაფრთხოებაზე, ოპტიმალურ დროსა და სასიცოცხლო ნიშნებზე; ➤ აღწერს მეხანძრე-მაშველის მოვალეობებს პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევის დროს. <p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი.</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ დაშავებულისთვის პირველადი სამედიცინო დახმარებისას მოახდენს დროის და მოქმედებების განსაზღვრას.

3/2	L	<p>გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ალგორითმი, CPR - გულ-ფილტვის რეანიმაცია, სასუნთქი გზების ობსტრუქცია; გულყრა.</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ CPR- გულ-ფილტვის რეანიმაციის ჩატარების პრინციპი და თანმიმდევრობა; ➤ სასუნთქი გზების ობსტრუქცია, დახმარების წესი; ➤ გულყრა, მოქმედებები გულყრის დროს. 	<p>ცოდნა/გაცნობიერება:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ისაუბრებს გულყრის დროს ადეკვატური ღონისძიებების გატარებაზე; უცხო სხეულების მიერ ზემო სასუნთქ გზებში არსებობის ლეტალურ საფრთხეზე; გულ-ფილტვის რეანიმაცია. <p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ შეაფასებს დაზარალებულის მდგომარეობას და გაუწევს პირველად დახმარებას; ➤ ზემო სასუნთქი გზებიდან გამოდევნის უცხო სხეულებს; ➤ ჩაატარებს გულ-ფილტვის რეანიმაციას.
3/3	L	<p>სისხლდენა, ტრავმა</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ჭრილობების კლასიფიკაცია; ➤ სისხლდენის ტიპები და მათი შეჩერების მეთოდები; ➤ შოკი; ➤ ტრავმა; ➤ მოტეხილობები და მათი სახეობები; ➤ ხანგრძლივი ზეწოლის სინდრომი; ➤ დაშავებულის გადაყვანა (ტრანსპორტირება). 	<p>ცოდნა/გაცნობიერება:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ისაუბრებს ჭრილობების, სისხლდენის, მოტეხილობების დროს დაზარალებულის მდგომარეობის შეფასების და ადეკვატური ღონისძიებების გატარების აუცილებლობაზე. <p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი.</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ შეაფასებს დაზარალებულის მდგომარეობას; ➤ გაუწევს პირველად დახმარებას; ➤ ტრავმის დროს მოახდენს დაზარალებულის უმოძრაობის უზრუნველყოფას თავის დაფიქსირებით; ➤ ხანგრძლივი ზეწოლის სინდრომის დროს გაუწევს პირველად დახმარებას.
3/4	I	<ul style="list-style-type: none"> ➤ პირველადი სამედიცინო დახმარების თანმიმდევრობის დამუშავება. 	<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი.</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ დაზარალებულს გაუწევს პირველად დახმარებას.
3/5	I	<ul style="list-style-type: none"> ➤ CPR- გულ-ფილტვის რეანიმაციის დამუშავება. 	

3/6	I	<ul style="list-style-type: none"> ➤ სისხლედენის შეჩერების მეთოდების დამუშავება; ➤ დაზარალებულის უმოძრაობის შენარჩუნების დამუშავება. 	
II მოდული			
4	სახანძრო ტექნიკა, სახანძრო წყალმომარაგება, სუნთქვისა და მხედველობის ორგანოთა ინდივიდუალური დაცვის საშუალებები (6 სთ.)		
№	სწავლების მეთოდი:	ლექციის თემა	სწავლების შედეგები
4/1	L	<ul style="list-style-type: none"> ➤ მეხანძრის სპეციალური ტანსაცმელი და აღჭურვილობა; ➤ ხელის სახანძრო კიბეები, სახანძრო ავტოკიბეები და ავტომწეები; ➤ უსაფრთხოების ტექნიკის წესების მოთხოვნები სახანძრო ავტოკიბეებზე და ავტომწეებზე მუშაობის დროს. 	<p>ცოდნა/გაცნობიერება:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ჩამოთვლის მეხანძრე-მაშველის სპეციალური ტანსაცმლის სახეებს; ➤ ისაუბრებს მეხანძრე-მაშველის აღჭურვილობის დანიშნულებასა და გამოყენების წესებზე ხანძრის ჩაქრობის და საავარიო-სამაშველო სამუშაოების ჩატარების დროს; ➤ აღწერს მეხანძრე-მაშველის სპეციალური ტანსაცმლისა და აღჭურვილობის დალაგების, ჩაცმის, მორგებისა და შენახვის წესებს; ➤ იმსჯელებს უსაფრთხოების ტექნიკის წესების მოთხოვნებზე მეხანძრე-მაშველის ტანსაცმლისა და აღჭურვილობის მიმართ განგაშზე შეკრებისას, გასვლისას და დანაყოფში დაბრუნებისას. ➤ ისაუბრებს ხელის და სახანძრო ავტოკიბეების დანიშნულებაზე, მათ სახეებსა და კონსტრუქციულ მოწყობაზე; უსაფრთხოების წესების მოთხოვნებზე სახანძრო კიბეებით (როგორც ხელის, ასევე ავტოკიბეებით) მუშაობისას.
4/2	L	<ul style="list-style-type: none"> ➤ სახანძრო წყალმომარაგების სისტემები; 	<p>ცოდნა/გაცნობიერება:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ისაუბრებს სახანძრო წყალმომარაგების სისტემების დანიშნულებასა და კლასიფიკაციაზე;

		<ul style="list-style-type: none"> ➤ სახანძრო სახელოები, მათი არმატურა და სახანძრო ლულები; ➤ ხანძრის ქაფით ჩაქრობის საშუალებები; ➤ უსაფრთხოების წესების მოთხოვნები ხანძრის ქაფით ჩაქრობის საშუალებებით მუშაობისას. 	<ul style="list-style-type: none"> ➤ აღწერს ხანძრის კერაში მისაწოდებლად წყლის აღებისათვის საჭირო მოწყობილობებს: ჰიდრანტების, ჰიდრანტის სვეტების ტექნიკური მოწყობა-აგებულებასა და გამოყენების წესებს; ➤ ისაუბრებს უსაფრთხოების წესების მოთხოვნებზე სახანძრო წყალმომარაგების სისტემებთან მუშაობისას; ➤ აღწერს სახანძრო სახელოებს, მათი არმატურის და სახანძრო ლულების სახეობებს, ისაუბრებს დანიშნულებაზე, კლასიფიკაციასა და გამოყენების სფეროზე; ➤ იმსჯელებს უსაფრთხოების ტექნიკის წესების მოთხოვნებზე სახანძრო სახელოებით და ლულებით მუშაობის დროს. ➤ ისაუბრებს ქაფწარმომქმნელი ნივთიერებების დანიშნულებაზე, გამოყენების სფეროებსა და წესებზე; ხანძრის ქაფით ჩაქრობის მოწყობილობების დანიშნულებაზე, მოწყობა-აგებულებასა და ტექნიკურ მახასიათებლებზე; ხანძრის ქაფით ჩაქრობის მოწყობილობათა გამოყენებასა და ტექნიკური მომსახურების წესებზე; შრომის დაცვისა და უსაფრთხოების წესების მოთხოვნებზე ხანძრის ქაფით ჩაქრობის საშუალებებით მუშაობისას.
4/3	L	<ul style="list-style-type: none"> ➤ მხედველობისა და სუნთქვის ორგანოების ინდივიდუალური დაცვის საშუალებები; ➤ ძირითადი დანიშნულების სახანძრო და საავარიო-სამაშველო ავტომობილები; ➤ სახანძრო ტუმბოები; ➤ უსაფრთხოების ტექნიკის წესები სახანძრო ავტომობილის ტუმბოებთან და ძრავიან ტუმბოებთან მუშაობის დროს. 	<p>ცოდნა/გაცნობიერება:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ აღწერს მხედველობისა და სუნთქვის ორგანოების ინდივიდუალური დაცვის საშუალებით მუშაობისას სუნთქვის ფიზიოლოგიის თავისებურებებს; ➤ ისაუბრებს გაზკვამლდაცვის საშუალებების კლასიფიცირებაზე, დანიშნულებასა და მათი მუშაობის პრინციპზე; მხედველობისა და სუნთქვის ორგანოების ინდივიდუალური დაცვის საშუალებების ტექნიკურ დახასიათებაზე და მუშაობის პრინციპზე, ძირითადი კვანძების, დეტალების დანიშნულებასა და მოწყობილობაზე; ➤ იმსჯელებს მხედველობისა და სუნთქვის ორგანოების ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით მუშაობის დროს უსაფრთხოების წესების მოთხოვნებზე;

			<ul style="list-style-type: none"> ➤ აღწერს სახანძრო ავტომობილების დანიშნულებასა და ტიპებს; ➤ ისაუბრებს ძირითადი დანიშნულების სახანძრო ავტომობილის სახეებზე, გამოყენების სფეროზე; ძირითადი დანიშნულების სახანძრო ავტომობილების კომპლექტაციაში შემავალი სახანძრო-ტექნიკური შეიარაღების და აღჭურვილობის ნაკვეთურებში განთავსების პრინციპზე; საავარიო-სამაშველო ავტომობილების დანიშნულებაზე; საავარიო-სამაშველო ავტომობილების კომპლექტაციაში შემავალი საავარიო-სამაშველო ხელსაწყოების და მოწყობილობების ნაკვეთურებში განთავსების პრინციპზე; უსაფრთხოების ტექნიკის წესების მოთხოვნებზე ძირითადი დანიშნულების სახანძრო და საავარიო-სამაშველო ავტომობილებთან მუშაობის დროს; ➤ აღწერს სახანძრო ტუმბოების დანიშნულებას, კლასიფიკაციასა და მათი მუშაობის პრინციპს; ➤ ისაუბრებს წყლის შეწოვის გეომეტრიული და ვაკუუმმეტრული სიმაღლის არსზე; ჰიდრავლიკური დანაკარგების მიზეზებზე; ტუმბოს სიმძლავრესა და განზომილებაზე; დაწნევის განზომილების სისტემურ და არასისტემურ ერთეულებზე; ცენტრიდანული, კბილაგადამცემიანი, ჭავლური ტუმბოების და მოტოტუმბოების დანიშნულებასა და მოწყობილობაზე; სახანძრო ავტომობილის ტუმბოებთან და ძრავიან ტუმბოებთან მუშაობის დროს შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის წესების მოთხოვნებზე.
5	სახანძრო ტაქტიკა (2 სთ.)		
№	სწავლების მეთოდი:	ლექციის თემა	სწავლების შედეგები
5/1	L	<p>სახანძრო ტაქტიკის საფუძვლები, ტყის ხანძრების ჩაქრობა</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ხანძარი და მისი წარმოქმნის ფაქტორები; 	<p>ცოდნა/გაცნობიერება:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ისაუბრებს ხანძრის და მისი წარმოქმნის ფაქტორებზე; სახანძრო ტაქტიკის ძირითად ამოცანებზე; სახანძრო-სამაშველო დანაყოფების

	<ul style="list-style-type: none"> ➤ სახანძრო ტაქტიკის ძირითადი ამოცანები; ➤ სახანძრო-სამაშველო დანაყოფების პირადი შემადგენლობის ძირითადი (მთავარი) ამოცანები ხანძრის ჩაქრობის დროს; ➤ პირობები, რომლებიც უზრუნველყოფენ სახანძრო-სამაშველო დანაყოფების მიერ ძირითადი (მთავარი) ამოცანების შესრულებას; ➤ ხანძრის ჩაქრობა – სახანძრო-სამაშველო დანაყოფების საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილი; ➤ ხანძრის ჩაქრობის არსი და მეთოდები; ➤ საქართველოს ტყეების დახასიათება; ➤ ტყის ხანძრების კლასიფიკაცია; ➤ ტყის ხანძრების გაჩენის მიზეზები და განვითარების ეტაპები; ➤ ტყის ხანძრის ჩაქრობის ორგანიზება; ➤ განსაკუთრებულად რთული ტყის ხანძრების ჩაქრობის ორგანიზება; ➤ ტყეებში სახანძრო; უსაფრთხოების უზრუნველყოფა; ➤ უსაფრთხოების ტექნიკის მოთხოვნები ტყის ხანძრის ჩაქრობისას. 	<p>პირადი შემადგენლობის ძირითად (მთავარი) ამოცანებზე ხანძრის ჩაქრობის დროს;</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ აღწერს პირობებს, რომლებიც უზრუნველყოფენ სახანძრო-სამაშველო დანაყოფების მიერ ძირითადი (მთავარი) ამოცანების შესრულებას; ➤ ისაუბრებს ხანძრის ჩაქრობის არსზე და მეთოდებზე; ➤ დაახასიათებს საქართველოს ტყეებს; ➤ მოახდენს ტყის ხანძრების კლასიფიკაციას; ➤ აღწერს ტყის ხანძრების გაჩენის მიზეზებს და განვითარების ეტაპებს; ➤ ისაუბრებს ტყის ხანძრის, ასევე განსაკუთრებულად რთული ტყის ხანძრების ჩაქრობის ორგანიზებაზე; ტყეებში სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე; უსაფრთხოების ტექნიკის მოთხოვნებზე ტყის ხანძრის ჩაქრობისას.
--	---	--

6 სახანძრო-სამწყობრო მომზადება (22 სთ.)			
№	სწავლების მეთოდი:	ლექციის თემა	სწავლების შედეგები
6/1-6/3	I	<p>ვარჯიშები სახანძრო სახელოებით და მათი არმატურით</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ სახანძრო სახელოების გაშლა-ალაგების მეთოდები და მოვლა-შენახვის წესები; ➤ მაგისტრალური და მუშა ხაზების გაშლა და ახვევა; ➤ სახელოების ერთმანეთთან შეერთება და ჩახსნა; ➤ სახანძრო ლულებით მუშაობა; ➤ ლულების მოდიფიკაციიდან გამომდინარე მათი მიწოდება სხვადასხვა მდგომარეობიდან; ➤ სახანძრო სახელოების სიმაღლეზე აზიდვა მაშველი თოკების გამოყენებით; ➤ სახანძრო სახელოს ხაზის ატანა გადასატან და სტაციონარულ სახანძრო კიბეებზე; ➤ მოქმედ მუშა ხაზში დაზიანებული სახელოს შეცვლა ახლით; ➤ მოქმედი მუშა ხაზის გაზრდა; ➤ მოქმედ მუშა ხაზში დაზიანებული სახელოდან წყლის გამოდინების 	<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ჩაატარებს საავარიო-სამაშველო სამუშაოებს სახანძრო სახელოებით, უსაფრთხოების წესების მოთხოვნათა დაცვით.

		<p>შეჩერება სპეციალური გადამჭერებით;</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ უსაფრთხოების წესების მოთხოვნების დაცვა სახელოებით მუშაობის დროს. 	
<p>6/4-6/6</p>	<p>I</p>	<p>ხელის სახანძრო კიბეებით ვარჯიში</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ სამუხლა გასაშლელი კიბის ჩამოხსნა სახანძრო ავტომობილიდან; ➤ სამუხლა გასაშლელი კიბის გადატანა სასწავლო კომპთან, გაშლა, მიდგმა და კომპის სართულებზე ასვლა-ჩამოსვლა; ➤ სამუხლა გასაშლელი კიბის დაკეცვა და სახანძრო ავტომობილზე დამაგრება; ➤ საიერიშო კიბის ჩამოხსნა სახანძრო ავტომობილიდან; ➤ საიერიშო კიბის გადატანა სასწავლო კომპთან; ➤ საიერიშო კიბის ჩამოკიდება სასწავლო კომპის მეორე სართულის რაფაზე, სართულებზე ასვლა და ჩამოსვლა; ➤ საიერიშო კიბის დამაგრება სახანძრო ავტომობილზე; ➤ ჯოხკიბის ჩამოხსნა სახანძრო ავტომობილიდან, სასწავლო კომპთან გადატანა, გაშლა და კომპის კედელზე მიდგმა, ასვლა-ჩამოსვლა და ავტომობილზე დამაგრება; 	<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ხანძრის ჩაქრობისა და საავარიო-სამაშველო სამუშაოების ჩატარებისას ხელის სახანძრო კიბეების გამოყენებით ავა შენობის სართულებზე და ჩამოვა უსაფრთხოების წესების მოთხოვნათა დაცვით.

		<ul style="list-style-type: none"> ➤ უსაფრთხოების წესების მოთხოვნების დაცვა ხელის სახანძრო კიბეებით ვარჯიშის დროს. 	
6/7	I	<p>ვარჯიშები წყალსაცავზე გადასატანი და სტაციონარული სახანძრო ტუმბოების გამოყენებით</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ჰიდრანტის მოძიება, ჰიდრანტის სვეტის გადმოღება სახანძრო ცისტერნიდან და ჰიდრანტზე მორგება, წლის მოშვება და დაკეტვა; ➤ სვეტის დაბრუნება სახანძრო ავტომობილის ნაკვეთურში; ➤ ავტოცისტერნის დაყენება ჰიდრანტზე ორი პარალელური სადაწნეო (გამდენი) სახელოს გამოყენებით და წყლის გაშვება ტუმბოში; ➤ ავტოცისტერნის დაყენება ჰიდრანტზე ორი პარალელური შემწოვი სახელოს გამოყენებით და წყლის გაშვება ტუმბოში; ➤ ავტოცისტერნის დაყენება ჰიდრანტზე პარალელურად ერთი გამდენი და ერთი შემწოვი სახელოს გამოყენებით და წყლის გაშვება; ➤ ავტოცისტერნის დაყენება წყალსატევზე (რეზერვუარზე) ერთი ან ორი შემწოვი სახელოს გამოყენებით; 	<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ხანძრის ჩაქრობის და საავარიო-სამაშველო სამუშაოების ჩატარებისას სახანძრო ავტოცისტერნებით და გადასატანი მოტოტუმბოებით წყლის აღების და მიწოდების დროს შეასრულებს თავის მოვალეობას უსაფრთხოების წესების მოთხოვნათა დაცვით.

		<ul style="list-style-type: none"> ➤ გადასატანი მოტოტუმბოს დაყენება წყალსატევზე და წყლის მიწოდება; ➤ წყლის გაშვება სახელოთა ხაზში წნევის კონტროლით; ➤ ავტოცისტერნიდან წყლის მიწოდება ჰიდროელევატორის (ეჟექტორის) გამოყენებით; ➤ უსაფრთხოების წესების დაცვა სახანძრო ავტოცისტერნის წყლის წყაროზე დაყენების და სახელოთა ხაზში წლის გაშვების დროს. 	
6/8	I	<p>ვარჯიშები ეკიპაჟის, ათეულის, ოცეულის სრული ტაქტიკური შესაძლებლობების გამოყენებით</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ გაშლისთვის მომზადება; ➤ სახანძრო ავტოცისტერნაზე წინასწარი და სრული გაშლა; ➤ დანაყოფის გაშლა სახანძრო ავტოცისტერნაზე (ლულების მიწოდებით ავტომობილის წყლის წყაროზე დაყენებით და დაყენების გარეშე); ➤ მეხანძრის მოვალეობების შესრულება გათვლის ტაბელის ნომრის მიხედვით; ➤ მაგისტრალური ხაზის გაშლა წყლის წყაროდან ხანძრის კერამდე; ➤ ათეულისა და ოცეულის გაშლა ლაფეტის ლულის მოწყობით; 	<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი -</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ხანძრის ჩაქრობის და საავარიო-სამაშველო სამუშაოების ჩატარებისას დანაყოფების შემადგენლობაში შეასრულებს მეხანძრის მოვალეობებს გათვლის ტაბელის ნომრის მიხედვით უსაფრთხოების წესების მოთხოვნების დაცვით.

		<ul style="list-style-type: none"> ➤ დანაყოფის გაშლა ქაფის გენერატორის, და ჰაერ-ქაფის ლულებით ხანძარზე ქაფის მისაწოდებლად; ➤ უსაფრთხოების წესების მოთხოვნების დაცვა სახანძრო დანაყოფების (ეკიპაჟის, ათეულის და ოცეულის) გაშლის დროს. 	
6/9-6/10	I	<p>ვარჯიშები მხედველობისა და სუნთქვის ორგანოების ინდივიდუალური დაცვის საშუალებით</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ სასუნთქი აპარატის სრული და არასრული დაშლა და აწყობა; ➤ სასუნთქი აპარატის ჰაერის ბალონის შეცვლა; ➤ სასუნთქი აპარატის მუშა მზადყოფნის შემოწმება; ➤ სასუნთქი აპარატის მაღალი და რედუქციული წნევის ჰერმეტიულობის შემოწმება; ➤ სასუნთქი აპარატის ხმოვანი სასიგნალო მოწყობილობის გამართულობის შემოწმება; ➤ სასუნთქი აპარატის ჰაერის რედუქტორის გამართულობის შემოწმება; ➤ სასუნთქი აპარატის შემოწმება, მორგება და მოძრაობა სხვადასხვა 	<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი -</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ხანძრის ჩაქრობისა და საავარიო-სამაშველო სამუშაოების ჩატარების დროს მხედველობისა და სუნთქვის ორგანოების ინდივიდუალური დაცვის საშუალებით შეასრულებს თავის მოვალეობას უსაფრთხოების წესების მოთხოვნათა დაცვით.

		<p>სიჩქარით და მიმართულებით (ვარჯიში სრულდება სუფთა ჰაერზე);</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ უსაფრთხოების წესების მოთხოვნათა დაცვა მხედველობისა და სასუნთქი ორგანოების ინდივიდუალური დაცვის საშუალებით მუშაობის დროს. 	
6/11	I	<p>ვარჯიშები ფსიქოლოგიური მომზადების ცეცხლის ზოლზე</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ფსიქოლოგიური მომზადების ზოლზე დაბრკოლებების (სიმაღლეები, თაღები და სხვა) გადალახვა ხანძრის საშიში ფაქტორების (ალის და კვამლის) ზემოქმედების გარეშე; ➤ ფსიქოლოგიური მომზადების ზოლზე დაბრკოლებების (სიმაღლეები, თაღები და სხვა) გადალახვა ხანძრის საშიში ფაქტორების (ალის და კვამლის) ზემოქმედებით; ➤ მეხანძრის სრული ეკიპირებით მცირე დროით ცეცხლისა და კვამლის ზონაში ყოფნა; ➤ ადვილადააღებადი და წვადი სითხეების წყლით და ქაფით ჩაქრობა; ➤ გათვლის ნომრებს შორის შეთანხმებული მოქმედებების დახვეწა; ➤ უსაფრთხოების წესების მოთხოვნათა დაცვა ფსიქოლოგიური ცეცხლის ზოლის გადალახვის დროს. 	<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ექსტრემალურ პირობებში ხანძრის საშიში ფაქტორების ზემოქმედების ქვეშ (ცეცხლი, კვამლი) და სიმაღლეზე მუშაობის დროს გამომუშავებული ფსიქოლოგიური მდგრადობის და უნარჩვევების გამოყენებით მოახდენს ხანძრების ჩაქრობას და საავარიო-სამამშველო სამუშაოების ჩატარებას უსაფრთხოების წესების მოთხოვნების დაცვით.

III მოდული			
7 საავარიო-სამაშველო/სამაშველო ტექნიკა და აღჭურვილობა (2 სთ.)			
№	სწავლების მეთოდი:	ლექციის თემა	სწავლების შედეგები
7/1	L	<p>საავარიო-სამაშველო სამუშაოების წარმოებისათვის საჭირო ტექნიკური საშუალებები და მოწყობილობები;</p> <p>თოკით სამაშველო სამუშაოების წარმოებისათვის საჭირო ტექნიკური საშუალებები და მოწყობილობები</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ საავარიო-სამაშველო სამუშაოებში გამოსაყენებელი ელექტრული, მობილიზირებული და მექანიკური ხელსაწყო-მოწყობილობების დანიშნულება, ტექნიკური მახასიათებლები და გამოყენების წესები; ➤ ელექტრული, მობილიზირებული და მექანიკური ხელსაწყო-მოწყობილობების ტექნიკური მომსახურებისა და მოვლა-შენახვის წესები; ➤ უსაფრთხოების ტექნიკის წესების მოთხოვნები, ელექტრული, მობილიზირებული და მექანიკური ხელსაწყო-მოწყობილობების საავარიო-სამაშველო სამუშაოებში გამოყენების დროს. 	<p>ცოდნა/გაცნობიერება:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ისაუბრებს საავარიო-სამაშველო სამუშაოების წარმოებისათვის, ასევე თოკით სამაშველო სამუშაოების წარმოებისათვის საჭირო ტექნიკურ საშუალებებსა და მოწყობილობებზე. აღწერს მათი გამოყენებისა და მოვლა-შენახვის წესებს; ➤ ისაუბრებს უსაფრთხოების ტექნიკის წესების მოთხოვნებზე.

		<ul style="list-style-type: none"> ➤ მაღლივ საავარიო-სამაშველო სამუშაოებში გამოსაყენებელი მოწყობილობების, სამარჯვების და აღჭურვილობის სახეები, დანიშნულება, ტექნიკური მახასიათებლები, გამოყენებისა და მოვლა-შენახვის წესები; ➤ უსაფრთხოების ტექნიკის წესების მოთხოვნები, მაღლივ საავარიო-სამაშველო სამუშაოებში გამოსაყენებელი ხელსაწყოებით და მოწყობილობებით მუშაობის დროს. 	
8	სამაშველო ტაქტიკა (4 სთ.)		
№	სწავლების მეთოდი:	ლექციის თემა	სწავლების შედეგები
8/1-8/2	L	<p>საავტომობილო ტრანსპორტზე განვითარებული ინციდენტების/საგანგებო სიტუაციების დროს საავარიო-სამაშველო სამუშაოების წარმოება</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების კლასიფიკაცია და დახასიათება; ➤ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების დროს საავარიო-სამაშველო სამუშაოების წარმოება; ➤ ტექნიკა-აღჭურვილობა და ეკიპირება; ➤ შემთხვევის ადგილის უსაფრთხოების უზრუნველყოფა და შემოფარგლა; 	<p>ცოდნა/გაცნობიერება:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ისაუბრებს საავტომობილო ტრანსპორტზე განვითარებული ინციდენტების/საგანგებო სიტუაციების დროს საავარიო-სამაშველო სამუშაოების წარმოების მეთოდებსა და ხერხებზე; ➤ აღწერს ავტომანქანიდან დაზარალებულის უსაფრთხოდ გადმოყვანის, უსაფრთხოების წესების უზრუნველყოფის მეთოდებსა და ხერხებს.

		<ul style="list-style-type: none"> ➤ ავტომანქანის დაფიქსირების (სტაბილიზაცია) ხერხები და მისი მნიშვნელობა; ➤ ხელისშემშლელი მოწყობილობები და გარემოებები; ➤ დაზარალებულის გათავისუფლებისა და სამუშაო სივრცის შექმნის ტექნიკა; ➤ დაზარალებულზე ზრუნვისა და მისი ავტომანქანიდან გამოყვანის მეთოდები და ხერხები; ➤ უსაფრთხოების წესები. 	
9	სპეციალური სამაშველო ტაქტიკური მომზადება (24 სთ.)		
№	სწავლების მეთოდი:	ლექციის თემა	სწავლების შედეგები
9/1-9/6	I	<ul style="list-style-type: none"> ➤ მაღლივ საავარიო-სამაშველო სამუშაოებში გამოსაყენებელი მოწყობილობები, სამარჯვები და აღჭურვილობა. 	<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ გამოიყენებს თოკზე გამოსაყენებელ აღჭურვილობას; ➤ თოკებით და დამხმარე ლენტებით გააკეთებს ნასკვებს და ყულფებს წესების დაცვით; ➤ დაეშვება სიმალიდან უსაფრთხოების წესების დაცვით.
9/7-9/10	I	<ul style="list-style-type: none"> ➤ საავარიო-სამაშველო სამუშაოებში გამოსაყენებელი ელექტრული, მოტორიზირებული და მექანიკური ხელსაწყო-მოწყობილობები. 	<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ საავარიო-სამაშველო სამუშაოებში გამოიყენებს ელექტრულ, მოტორიზირებულ და მექანიკურ ხელსაწყო-მოწყობილობებს უსაფრთხოების წესების დაცვით.
9/11-9/12	I	<ul style="list-style-type: none"> ➤ საავტომობილო ტრანსპორტზე განვითარებული ინციდენტების/საგანგებო 	<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:</p>

		სიტუაციების დროს საავარიო-სამაშველო სამუშაოების წარმოების ხერხებისა და მეთოდების დამუშავება	➤ საავტომობილო ტრანსპორტზე განვითარებული ინციდენტების/საგანგებო სიტუაციების დროს იმოქმედებს შესაბამისად უსაფრთხოების წესების მოთხოვნათა დაცვით.
--	--	---	---

დანართი №1

ჩათვლა მოიცავს მსმენელის მიერ 20 ტესტური დავალების შესრულებას. მსმენელის მიერ 14 და მეტი სწორი პასუხის გაცემის შემთხვევაში, მას ჩათვლა ჩაბარებულად ჩაეთვლება. ჩათვლაში უარყოფითი შედეგის დადგომის შემთხვევაში, მსმენელს გადაბარების უფლება აქვს მხოლოდ ერთხელ.

დანართი №2

ჩათვლა შედგება ორი ნაწილისაგან რაც გულისხმობს ტესტური და პრაქტიკული დავალების შესრულებას.

ტესტური ნაწილი მოიცავს მსმენელის მიერ 20 ტესტური დავალების შესრულებას. 14 და მეტი სწორი პასუხის შემთხვევაში ჩათვლის ტესტური ნაწილი ჩაბარებულად ჩაეთვლება.

პრაქტიკული ნაწილი მოიცავს ამავე დანართის №1, №2 და №3 ცხრილებში მითითებული ილეთების შესრულებას. ჩათვლის პრაქტიკული ნაწილი დაძლეულად ჩაეთვლება თუ მსმენელი ცხრილებში მითითებულ ილეთებს შეასრულებს სწორად და შესაბამის დროში.

№1, №2 და №3 ცხრილებში მითითებული ილეთების შეფასებისათვის, უნდა მოხდეს მიღებულ შედეგის გამრავლება ცხრილი №4 და ცხრილი №5-ით დადგენილ კოეფიციენტებზე, გარემოს ტემპერატურისა და ასაკობრივი ჯგუფის შესაბამისად.

ჩათვლის ერთ-ერთ ნაწილში უარყოფითი შედეგის დადგომის შემთხვევაში, მსმენელს შესაბამისი ნაწილის გადაბარების უფლება აქვს მხოლოდ ერთხელ.

მოდული დაძლეულად ჩაითვლება თუ მსმენელი წარმატებულად გაივლის ჩათვლის ორივე ნაწილს.

ცხრილი 1

სპეციალური ტანსაცმლისა და აღჭურვილობის ჩაცმა

N	ნორმატივის სახეობა	შეფასება დროის მიხედვით (წამი)/სისწორეზე			ნორმატივის შესრულების პირობები
		ფრიადი	კარგი	დამაკმაყოფილებელი	
1.1	სპეციალური ტანსაცმლის ჩაცმა და აღჭურვა				<p>1. სპეციალური ტანსაცმელი და აღჭურვილობა დაწყობილია ნებისმიერი ხერხით. ქამარი კარაბინით და ბუდეში მოთავსებული სახანძრო ნაჯახით დევს ტანსაცმლის ქვეშ, ხელჯაგები - ქურთუკის ჯიბეებში, ჯიბეების არარსებობის შემთხვევაში - ქამრის ქვეშ</p> <p>2. მეხანძრე-მაშველი დგას პირისახით სპეციალური ტანსაცმლიდან და აღჭურვილობიდან 1 მ დაშორებით</p> <p>ამოცანის დასრულება: სპეციალური ტანსაცმელი და აღჭურვილობა ჩაცმულია, ქურთუკი შეკრულია ყველა ღილზე, ქამარი შეკრულია და ჩატანებულია ბალთაში, ჩაფხუტის სამაგრი შეკრულია და მოჭიმულია</p>
	ინდივიდუალურად	21	24	27	

ცხრილი 2

მოქმედებები სახანძრო კიბეებით

ნორმატივის სახეობა	შეფასება დროის მიხედვით (წამი)			ნორმატივის შესრულების პირობები
	ფრიადი	კარგი	დამაკმაყოფილებე	
მიდგმული გასაშლელი კიბით სასწავლო კომპის მე-3 სართულის ფანჯარაში ასვლა	8	10	12	გასაშლელი კიბე დამაგრებულია მე-7 საფეხურზე, პირველი ნომერი დგას კიბესთან, ხელი უკავია ჩანზე, მარცხენა ფეხი პირველ (მეორე) საფეხურზეა. მეორე ნომერი დგას კედელსა და კიბეს შორის, იჭერს კიბეს ამოცანის დასრულება: პირველი ნომერი ორივე ფეხით ეხება სასწავლო კომპის მე-3 სართულის იატაკს შედეგი ფიქსირდება ორივე ფეხით იატაკთან შეხების მომენტის მიხედვით

ცხრილი 3

100-მეტრიანი ზოლის დაბრკოლებებით დაძლევა

შეფასება დროის მიხედვით (წამი)			ნორმატივის შესრულების პირობები
ფრიადი	კარგი	დამაკმაყოფილებელი	
25	28	31	მეხანძრე-მაშველი ლულით ხელში დგას სასტარტო ზოლთან (ლულის მდგომარეობა ნებისმიერია) ამოცანის დასრულება: დაბრკოლებები გადალახულია, დისტანცია დასრულებულია; ლულა მიერთებულია სახელოს ხაზთან, სახელოები შეერთებულია და მიერთებულია განშტოებაზე

ცხრილი 4

კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს გარემოს ტემპერატურის ზემოქმედებას

ტემპერატურა, °C	-20-დან 0-მდე	0-დან +25-მდე	+30	+35	+40	+50
კოეფიციენტი	1,1	1,0	1,1	1,2	1,35	1,45

ცხრილი 5

კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს ასაკს

ასაკობრივი ჯგუფები*	31-მდე	31-35	36-40	41-45	46-50	51 და მეტია
კოეფიციენტი	1,0	1,1	1,3	1,4	1,5	1,8

დანართი № 3

ჩათვლა შედგება ორი ნაწილისაგან რაც გულისხმობს ტესტური და პრაქტიკული დავალების შესრულებას.

ტესტური ნაწილი მოიცავს მსმენელის მიერ 20 ტესტური დავალების შესრულებას. 14 და მეტი სწორი პასუხის შემთხვევაში ჩათვლის ტესტური ნაწილი ჩაბარებულად ჩაითვლება.

პრაქტიკული ნაწილი მოიცავს ამავე დანართის № 1 და № 2 ცხრილებში მითითებული ილეთების შესრულებას. ჩათვლის პრაქტიკული ნაწილი დაძლეულად ჩაეთვლება თუ მსმენელი ცხრილებში მითითებულ ილეთებს შეასრულებს სწორად და შესაბამის დროში.

№1, №2 ცხრილებში მითითებული ილეთების შეფასებისათვის, უნდა მოხდეს მიღებულ შედეგის გამრავლება ცხრილი №3 და ცხრილი №4-ით დადგენილ კოეფიციენტებზე, გარემოს ტემპერატურისა და ასაკობრივი ჯგუფის შესაბამისად.

ჩათვლის ერთ-ერთ ნაწილში უარყოფითი შედეგის დადგომის შემთხვევაში, მსმენელს შესაბამისი ნაწილის გადაბარების უფლება აქვს მხოლოდ ერთხელ.

მოდული დაძლეულად ჩაითვლება თუ მსმენელი წარმატებულად გაივლის ჩათვლის ორივე ნაწილს.

ცხრილი 1

მოქმედებები თოკითა და თოკზე გამოსაყენებელი აღჭურვილობით

ნორმატივის სახეობა	შეფასება დროის მიხედვით (წამი)/სისწორეზე	ნორმატივის შესრულების პირობები
თოკზე სამუშაო ხელსაწყოების გამოყენებით სიმაღლიდან დაშვება (ერთი-ერთი ვარიანტი)	(არაუმეტეს 120)	მაშველი დგას სასწავლო კოშკის მეოთხე სართულის ფანჯარასთან მორგებული პირადი აღჭურვილობით, იატაკზე დალაგებული თოკიდან და ხელსაწყოებიდან 1 მ დაშორებით ამოცანის დასრულება: მაშველი შეეხო მიწას ორივე ფეხით

ცხრილი 2

საავარიო-სამაშველო საშუალებების გამოყენება

გენერატორის სამუშაოდ მომზადება, განათების სისტემის აწყობა და ობიექტის განათება	სისწორეზე			<p>ნორმატივს ასრულებს ერთი მეხანძრე-მაშველი; მეხანძრე-მაშველი იმყოფება სამაშველო უნიფორმაში და მორგებული აქვს პირადი დაცვის საშუალებები; მეხანძრე-მაშველი დგას განათების სისტემიდან და გენერატორიდან 1 მ-ის დაშორებით; განათების სისტემის აწყობის ადგილია გენერატორიდან 15 მ-ის დაშორებით; ამოცანის დასრულება: ობიექტი განათებულია.</p>
	180	190	200	
ჰიდრავლიკური ხელსაწყოების სამუშაოდ მომზადება და საკონტროლო გაშვება	სისწორეზე			<p>ნორმატივს ასრულებს ერთი მეხანძრე-მაშველი; მეხანძრე-მაშველი იმყოფება უნიფორმაში და მორგებული აქვს პირადი დაცვის საშუალებები; მეხანძრე-მაშველი დგას ჰიდრავლიკური სადგურიდან და ხელსაწყოებიდან 1 მ-ის დაშორებით; ჰიდრავლიკის მილები წინასწარ არის გაშლილი (10მ); ამოცანის დასრულება: განხორციელდა საკონტროლო გაშვება</p>
	130	135	145	

სწავლების მეთოდის აღნიშვნა: ინტერაქტიული - „I“; სალექციო - „L“

ცხრილი 3

კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს გარემოს ტემპერატურის ზემოქმედებას

ტემპერატურა, °C	-20-დან 0-მდე	0-დან +25-მდე	+30	+35	+40	+50
კოეფიციენტი	1,1	1,0	1,1	1,2	1,35	1,45

ცხრილი 4

კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს ასაკს

ასაკობრივი ჯგუფები*	31-მდე	31-35	36-40	41-45	46-50	51 და მეტია
კოეფიციენტი	1,0	1,1	1,3	1,4	1,5	1,8